F 26/1866

# ГРУЗИНСКІЙ
# ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

**1866.**

**ФЕВРАЛЬ.**

# საქართჳელოს

სასულიერო მახარებელი.

თებერვალი.

ჩყჲვ წ.

ТИФЛИСЪ.

Въ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА и К°.

# ПОДПИСКА

НА

# „ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ“

продолжается и принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. языкѣ, для особо подписывающихся, 1 р. с. По той-же цѣнѣ можно получать остающіеся экземпляры журнала за *первый* ($18^{64}/_{65}$) годъ.

Независимо отъ журнала продаются: “Общепонятное изложеніе догматическаго ученія Православной вѣры,, и “Жизнь Пресв. Богородицы,,—на груз. яз.—по 40 к. с. экземпляръ, съ пересылкою и безъ нея.

---

ხელის-მოწერა ჟურნალზედ მიიღება ტფილისის სემინარიაში, რედაქტორის სახელზედ. ფასი წლის ჟურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხჳა ქჳეყნებში გაგზავნით ხ უ თ ი მ ა ნ ე თ ი; მიუტანელად და გაუგზავნელად ო თ ხ ი მ ა ნ. მარტო რუსულისათჳს ე რ თ ი მ ა ნ ე თ ი. ამავე ფასათ შეიძლება გამოწერა დანაშთენის ეგზემპლიარების წარსრული წლის ჟურნალისა.

ცალკე ისყიდება: “ადვილ-სასმენელად გამოხატჳა მართლ-მადიდებელის სარწმუნოების დოღმატიკურისა სწავლისა,, და “ცხორება ყოვლად-წმიდისა ღჳთის-მშობლისა,,—ო რ ა ბ ა ზ ა თ თჳთო ეგზემპლიარი, გაგზავნით და გაუგზავნელად.

---

# ცხოვრება
## ღირსისა ილარიონ ქართველისა. (*)

---

ქართველთ მზე მნათი, უღამო ილარიონ,
სიბრძნისა სისმოთ, თარგმნით წერილთა გვასვებს;
განხმელს კაცს ნედლავს, მენიშობს დიდებული,
კჳლად მზას ხელს-ახმობს, ჯჳარისა დამსახველი,
მტვერსა მთას-ჰსწმინდავს, სულსა ზე მეამჭობს.

(ნიკოლაოზ თბილელი, სადღესასწ. გვერ. 303).

ღირსი და საკვირველთ-მოქმედი ილარიონ იყო ქვეყანისაგან კახეთისა, გჳარით დონაური; მდიდარი და წარჩინებული მამა მისი, ამასთანავე იყო ახოვანი მხედარი და კაცი სავსე სათნოებითა. დედა ილარიონისა შემწყნარებელი უცხოთა და გლახაკთა, მოწყალე და ხელის-აღმპყრობელი დავრდომილთა, მარადის განატარებდა დროსა ლოცვათა და ვედრებათა შინა. მსგავსად სამოელ წინასწარმეტყველისა, ჯერეთ ისევ მუცელსა შინა დედისა თჳსისა შეჰსწირეს იგი ღმერთსა და ოდეს ნათელ-ჰსცეს უწოდეს მას სახელად ილარიონ, რომელი ბერძულით ნიშნავს ,,სიხარულსა,,. ქრჱსის წლი-

---

(*) ხელთ-ნაწერის მამათ ცხოვრების წიგნისაგან, რომელი ეკუთვნის შიო მღვიმელის უდაბნოსა.

სა მისცეს იგი აღსწავლად საღმრთო წერილისა ერთსა კეთილ-მსა-ხურსა მოხუცებულსა მღუდელსა, კაცსა სათნოებიანსა და დიდად მმარხველსა. მოკლეს ჟამს ესრეთ შეისწავა ყრმამან ძველი და ახალი აღთქმა, რომელ ყოველთა განუკვირდებოდათ სიმახვილე გონებისა მისისა. ხშირად მივიდოდა მამა სანახავად ძისა თჳსისა და ერთხელ მოუვიდა ფიქრად, რომ იმ ადგილს, სადაც ჰსცხოვრებდა ძე მისი თავისის მასწავლებელით, აღაშენოს მან მონასტერი და ამ მონასტერშივე აღკვეცილ იქმნას თავის დროზე მონაზონად ძე მისი, როგორც აღუთქუამთ ღუთისა-თჳს ილარიონის მშობელთა, უწინარეს მისის დაბადებისა.

მალიად სრულ-ჰყო ილარიონის მამამან განზრახვა თჳსი: მან აღაშენა ეკკლესიია და სენაკნი, სადაც შეიკრიბნენ თექუსმეტამდის პატიოსანნი ბერნი, რომელთა ზედან წინამძღუარად იქმნა მოხუცებული მასწავლებელი ილარიონისა. სიხარულით აღიკვეცნა თმანი ილარიონმან, და შეერთო რა ძმათა მონასტრისათა, ესრეთ მორჩილ ექმნებოდა მამასა თჳსსა, ვითარცა ოდესმე ისააკ აბრაამსა. დღე, ოდეს ილარიონმან დაუტევა სახლი მშობელთა თჳსთა, არ იყო დღედ ტირილისა, არამედ დღედ სულიერის სიხარულისა, ამისთჳს რომელ იგინიცა, რომელნიც განუტევებდენ და იგიცა, რომელიც განეშორებოდა, სრულებით ჰგრძნობდნენ ყოველსა სიმაღლესა წოდებისასა, რომლისადმიცა იგინი მიისწრაფდნენ. მშობელნი იღუწვიდნენ ყოველთა საჭიროებათა-თჳს შეკრებულთა ძმათა და იშიშვიდნენ მხოლოდ მისთჳს, რათა არა შეიწროებულ-იქმნეს გამოუცდელი ჭაბუკი სასტიკის მორჩილებითა; გარნა ნეტარსა ილარიონს, აღვსებულსა ყოვლითა სიმშვიდითა და სიმდაბლითა, მარადის აქუნდა გამოხატული გონებასა შინა თჳსსა მხოლოდ ერთი მცნება უფლისა: ,,რომელსა უყუარდეს მამა, ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს,, (მათ. ი. ლზ), და ამისთჳს არ აქუნდა მხვლე-

ლობა სისხლსა მამისა თჳსისასა, რათა არ შეჰსცთეს გზისაგან, რომელსა ზედან დაადგინა იგი უფალმან.

როგორც რომ გასლდა თექჳსმეტის წლისა, ილარიონმან მოიწადინა უმეტესი განმარტოებითი ცხოვრება და ამისთჳს წარვიდა იგი ველურსა უდაბნოსა გარესჯისასა რომელი დაეფუძნა წმიდასა დავით, ერთსა ათცამეტთაგანსა, ასურეთით მოსრულთა მამასა. მისნი მოწაფენი იყუნენ მკაცრნი მოღუაწენი, ნაცულად სენაკთა სავანედ აქუნდათ ქვაბნი კლდეთა შინა გამოქანდაკებულნი, სჳმიდენ წჳმის წყალსა და ხშირად პურსაც საჭიროებდენ. ილარიონმან ჰპოვა ამ უდაბნოში გუნდი ქვეყნიერთა ანგელოზთა და ზეციერთა კაცთა, რომელთაც დაემონავებინათ ხორცი სულისათჳს; მათ შორის დაემკვიდრა იგი თჳთ იწროსა ქუაბსა შინა, ჰბაძვიდა ყოველსა შინა ამა წმიდათა და შემდეგ აღემატა ყოველთა გარესჯისა ძმათა ზედან სათნოებითა და მოღვაწეობითა, ღამისთევათა და ვედრებათა შინა, სინანულისა ცრემლთა და ფსალმუნთ გალობასა შინა განატარებდა დღეთა და ღამეთა; საზრდელად მისა იყო ოსპი და ველური მხალი, მცენარე კლდეთა ზედან და იშვიათად პური. ხმა ილარიონის ანგელოზებრივის ცხოვრებისა განისმა მრთლად საქართველოში; მრავალნი შორთა ადგილთაგან მოვიდოდნენ მასთან და აღმოივსებდნენ სულიერსა სარგებლობასა ამა განწმედილის წყაროჲსაგან.

ათი წელიწადი დაჰყო ილარიონმან დაყუდებული ქუაბსა შინა; ძმანი გარესჯისანი მარად-დღე მოვიდოდნენ მისდა, აღუარებდენ მას გულის-ზრახვათა თჳსთა და მრავალნი განიკურნებოდნენ სულიერთა სენთაგან. სხუათა შორის მოვიდა ილარიონთან ეპისკოპოსი ვინმე მახლობელთაგან სამთავროთა, კაცი წმიდა და ღირსქმნილი წინასწარ-მხედველობისა მადლისა; განიცადა რა მან ჭეშმარიტად მოღუაწეობითი ცხოვრება წმიდისა, სიყუარულით მოიკით-

სა იგი და ჰრქვა მას: ,,ვმადლობ ღმერთსა, შვილო ილარიონ, რომელმან მაღირსა მე ხილვა შენისა სიწმიდისა; მხოლოდ ერთს რასმეს გთხოვ შენ, გევედრები და ღჳთისა მიერ მოცემულითა ხელმწიფებითა გამცნებ, რათა ხელთაგან სიმდაბლისა ჩემისათა შეიწყნარო კურთხევა მღჳდელობისა ი,,. თუმცა ჰგრძნობდა ილარიონ სიმძიმესა მღჳდელობის ხარისხისასა, გარნა ვერ ურჩ-ექმნა ბრძანებასა მღჳდელ-მთავარისასა. მისვე მცირესა ქჳაბსა შინა ეპისკოპოსმან ჰქმნა საკურთხეველი, აკურთხა იგი, და აღიყჳანა ილარიონ ხარისხსა ზედან დიაკონობისასა, ხოლო მეორეს დღეს—მღჳდელობისასა. ჟამსა ხელ-დასხმისასა, არა თუ ეპისკოპოსმან, არამედ მათაცა იხილეს თვალითა სულისათა სული წმიდა გარდამოსრული თავსა ზედან ილარიონისასა და შესწირეს ღმერთსა მადლობაჲ ესე-ვითარისა სასწაულისათჳს.

ილარიონ უმეტეს განამრავლებდა უდაბნოსა შინა ღჳაწლთა მოღჳაწეობისათა, და სიტყვისა მებრ სახარებისა ბრწყინავდა ნათელი მისი წინაშე კაცთა, ხოლო იგინი ადიდებდენ მამასა ზეცათასა. მცხოვრებნი გარემო სოფლებთა, რომელთა ჰსცნეს საკვირველი იგი სასწაული, მოვიდნენ და ევედრებოდნენ ილარიონს, რათა იქმნას მწყემს-მთავრად მათზედან; შეძრწუნდა მდაბალი სული მისი, ამისთჳს რომელ, იმ ჟამიდგან, ოდეს შეიმოსა მან მღჳდელობა, მას არღა აქჳნდა იგი გამარტოობითი და მყუდრო ცხოვრება, როგორსაც განატარებდა იწროსა ქჳაბსა შინა. სიყრმიდგან შემყჳარებელმან დაყუდებისა, ილარიონმან დაადგინა წინამძღჳრად მონასტრისა ერთი მათაგანი, კაცი ბრძენი სიტყვითა და შემკული სათნოებითა და თჳთ შეუდგა შორსა გზასა წმიდათა ადგილთა პალესტინისათა, მსგავსად დიდისა მის მოღჳაწისა დავით გარეჯელისა. ოდეს მიაწია საზღჳართა მისირისათა, მას დაეცნენ სარკინოზნი და იშიშვლეს ხრმალნი დასათხევლად უბრალოჲსა სისხლისა,

გარნა მათ გაუშეშდათ ხელნი; შეშინებულნი დაეცნენ ფერხთა ქუეშე წმიდისათა, ევედრებოდენ მას კურნებასა და განიკურნენ. ავაზაკნი, რომელნი უპირებდენ სიკუ̂დილსა და გაცუ̂რცუ̂ნასა, ევედრებოდან ილარიონს მიღებად მათგან პურისა და ფინიკთა, ხოლო ერთი მათგანი წარუძღვების წინ და უჩვენებს მას გზასა თაბორისასა. აქ მოილოცა ადგილი, სადა ფერი-იცუ̂ალა მაცხოვარმან ჩუ̂ენმან, და აქედგან მოვიდა იერუსალიმში, თაყუ̂ანისცა ცხოველს-მყოფელსა საფლავსა და წმიდასა გოლგოთას, განვლო ღელე გლოვისა და მივიდა წმიდის საბას მონასტერში; აქ დაჰყო მცირედი ხანი და შემდგომ წარვიდა მხარეთაკენ იორდანისა, რადგანაც სული მისი ეძიებდა უმეტესსა მყუდროობასა და მწირობასა. მუნ ჰპოვა მან ქუ̂აბი ილია თესბიტელისა, რომელი ოდესმე ყოფილ-იყო სავანედ იოანე წინამორბედისა, ჰყო იგი საყოფელად თჳსა და სულითა და გულითა მოხარული დაყუდებისა და მარტოდ მყოფი ესაუბრებოდა მხოლოსა ღმერთსა. მწარენი მხალნი და ველური თაფლი იყო საჭმელად მისა და სიყუ̂არულისათჳს ქრისტესისა მოითმენდა იგი სხუ̂ა და სხუ̂ა გუ̂ართა იწროებათა. ამა უდაბნოსა შინა წმიდამან ილარიონ განატარა ჩვიდმეტი წელიწადი ესე-ვითართა მძიმეთა მოღუ̂აწეობათა შინა, რომელნი უმეტეს შეეფერებიან უხორცოთა, ვიდრე ხორცითა შემოსილთა.

ერთხელ ღამით იხილა ილარიონმან ჩვენება: მას წარმოუდგა კაცი ბრწყინვალის სახითა და უთხრა: „აღსდეგ, ილარიონ და წარვედ სამშობლოსა მამულსა შენსა; მამამან შენმან, რომელი კეთილცხოვრებითა თჳსითა სათნო ეყო ღმერთსა, სთხოვა მას, რათა არ მიიღოს სული მისი, ვიდრემდის კუ̂ალად იხილოს პირი საყუ̂არელისა მისა თჳსისა; მოახლოებულ-არს ჟამი მისის სიკუ̂დილისა; ამისთჳს გიბრძანებს შენ უფალი, რათა წარხვიდე დასაფლავებლად მამისა შენისა. შემდეგ კუ̂ალად შეუდგე მოღუ̂აწეობასა, ვითარცა გი-

ბრძანოს შენ უფალმან,,. თუმცა ილარიონს უმძიმდა დატევება ტკბილის ცხოვრებისა მწირსა უდაბნოსა შინა, გარნა ვერ ურჩ-ექმნა ბრძანებასა უფლისასა, ვინადგან მარადის იყო მორჩილი ნებისა მისისა, მეორეს ღამეს მან იხილა უმეტეს სანუგეშო ჩუენება: იგი ალვიდოდა მთასა ზედან ზეთისხილისასა და იხილა ზეცათა დედოფალი, ყოვლად წმიდა ღუთის-მშობელი, მჯდომარე საყდარსა ზედა დიდებისასა და წინაშე მისა მდგომარენი ათნი კაცნი, ბრწყინვალის სამოსლითა მოსილნი. დედამან უფლისამან უბრძანა ილარიონს, რათა სრულ-ჰყოს მან თქმული იგი ანგელოზისა მიერ წინა-ღამეს. განიღვიძა ილარიონმან და ჰსთქუა: ,,იყავნ ნება უფლისა!,,—დანაშთენი დრო ღამისა განატარა მან ლოცვასა შინა და ევედრებოდა უფალსა, რათა დაიცვას იგი უვნებელად ჟამსა მგზავრობისასა. განთიად დაუტევა მან საყვარელი ქუაბი თჳსი და ნაპირთაგან იორდანისა კუალად მოვიდა იგი იერუსალიმში; აქ კვალადცა თაყუანი-სცა ცხოველს მყოფელსა საფლავსა, და საშინელსა ადგილსა ჯუარცმისასა კლდესა ზედან გოლგოთისასა, სადაც დაითხივა სისხლი უფლისა გამოსხსნისათჳს სოფლისა; და შემდგომ წარვიდა იგი კასეთად. მამა და ძმა ილარიონს დაჰხუდნენ სიკუდილად მიხრწნეულნი. დედამან და დამან იხილეს რა იგი მიიკრეს გულზედ, იწყეს ტირილი სიხარულისა და მწუხარებისაგამო და ცხარითა ცრემლითა დაალტობდენ ფერხთა და ხელთა წმიდისათა. ,,უძვირფასესო შვილო ჩემო, ნუგეშო ჩემის მოხუცებულებისაო, ეტყოდა მას დედა, ვინ გაგონა შენ მოხულვა მამულსავე შენსა?—უფალმან შეისმინა ვედრებანი ჩემნი, და კუალადცა ღირს-მყო მე ხილვად პატიოსნისა სახისა შენისა; როგორც გნებავს ისე განაგე ყოველი სამკვიდრო მამული შენი, ხოლო ჩვენ შეგვმოსე სახე მონოზონებისა, რათა განშორებულნი სოფლისაგან ვსტიროდეთ ცოდვათა ჩვენთა თჳს,,. მაშინ ილარიონმან ჰყო მონასტრად სახლი მშობელთა

თჳსთა, აკურთხა მონაზონად დედა და და თჳსი და თჳთცა დაჰ-ყო მუნ ვიდრე გარდაცვალებადმდე დედისა თჳსისა. შემდეგ მისის აღსრულებისა, ყოველი საცხოვრებელი თჳსი განუყო გლახაკთა, რომელიმე ნაწილი შესწირა დავით გარეჯის უდაბნოს და თჳთცა წარვიდა მუნ. კლდესა შინა გამოჭრილი ქუაბი, რომელიც ოდესმე ჰქონიყო მამა დავითს სავანედ, და სადაც იყო საფლავიცა მისი, მან ჰქმნა ეკკლესიად. ოდეს განისმა ხმა ილარიონის დაბრუნებისა, მაშინ იწყო მოსვლა უდაბნოდ სიმრავლემან ერისამან.

ნოტარსა ილარიონს ჰყვანდა ბიძა, ძმა დედისა თჳსისა, რომელი იყო კაცი მეომარი და შემმართებელი. ამას დიდად ეწყინა, რომ ილარიონმან მისის დის მამული შესწირა უდაბნოსა; ამისთჳს შეჰყარა მან რაოდენნიმე აღჭურვილნი კაცნი, უეცრად დაეცა წმიდის დავითის მონასტერსა, დაარბივა იგი, და ამასთანავე იტყოდა: ,,მე უმეტეს მეკუთვნის საკუთრება დისა ჩემისა, ვიდრე-ღა ბერთა''.

ძმათა მოახსენეს ილარიონს ესე-ვითარი მძლავრება მისის ბიძისა, გარნა წმიდამან დაამშვიდა იგინი და უთხრა, რომ რაჲცა შეემთხვევის მათ, ყოველივე ღმრთისაგან არს, და უბრძანა, რათა თჳთოეული მათგანი წარვიდეს თჳსსა სენაკსა და ილოცვიდეს. არა დაუტევა ღმერთმან დაუსჯელად განმძარცველი ეკკლესიისა: მტაცებელს დაემართა ბნედა, იგრძნო ბრალეულობა თჳსი და საშინლად შეჭირვებული ცრემლით და სინანულით მოუხდა დის-წულსა თჳსსა, დაეცა ფერხთა ქუეშე მისთა და ევედრებოდა მას შეწყალებასა. წმიდამან ილარიონ გამოსახა მას ზედან ნიში ჯუარისა და მყის განიკურნა ბიძა მისი სატკივის გვემულებისაგან. გარნა განკურნებულსა არღა სურდა ცხოვრება სოფელსა შინა, მან შეჰსწირა ყოველი საცხოვრებელი თჳსი გარეჯის უდაბნოსა და მუნ, მოსილი ბერულის სამოსლითა, აღესრულა მოღუაწეობასა შინა.

ხმა დიდებისა დიდის მოღუაწისა უმეტეს და უმეტეს განის-

შოდა სამშობლოსა მხარესა მისსა; შორეულთა ადგილთაგან მო-ვიდოდნენ მასთან მრავალნი საკურნებელად სულთა და ხორცთა დ სულიერისა განათლებისათჳს როგორც ანდამატი მიიზიდავს რკი-ნასა, ეგრეთ მიიზიდავდა წმიდა ილარიონ ყოველთა, თავისის სუ-ლის დამატკბობელის სიტყვითა და მოწყალებითა. გარდაიცვალა ეპისკოპოსი, რომელმან აღიყვანა იგი მღვდელობისა ხარისხსა ზუ-დან, და როგორც მთავარმა, ისე სრულიად ერმან მოიწადინა, რა-თა მოადგილედ მისა იქმნეს წმიდა ილარიონ; შეძრწუნდა სული ილარიონისა ოდეს ესმა ხმა ესე. როგორც ოდესმე გულ მტკივ-ნეულმან დაუტევა სასურველი იგი უდაბნო იორდანისა, ეგრეთვე აწცა გარემოებანი აიძულებენ მას დატევებასა დავით გარეჯის უდა-ბნოსასა, ვინადგან იმიშვის იგი და უღირსად შერაცხს თავსა თჳს-სა მიღებად ამა უმაღლესის ხარისხისასა. კვალადცა აღირჩია ერთი ძმათაგანი, კაცი პატიოსანი და გამოცდილი სათნოებითა, დაადგი-ნა იგი წინამძღვარად გარეჯის უდაბნოჲსა, და თჳთ სამარადი-სოდ დაუტევა სამშობლო სავანე და ქვეყანა, რათა ჰპოვოს უც-ხოსა მხარესა შინა გულის საწადელი უშფოთველი ცხოვრება. სას-ტიკად ამცნო წინამძღვარსა, რათა მტკიცედ დაიცვას მან ყოველნი წესნი მონასტრისანი, და არ დაუხშავდეს სტუმართ-მოყვარებისა კართა მისთა უცხოთა და უღონოთა. ეგრეთვე ძმათა ამცნო, რა-თა აქვნდესთ ურთიერთარს სიყვარული და ეძიებდენ მშვიდო-ბასა უფლისასა, რომელი შეიქმს კაცსა მემკვიდრედ ზეცისა სასუ-ფეველისა.

იდუმალ არ დაუტევა ილარიონმან, ვითარცა პირველ, უდაბ-ნო გარეჯისა; შემდგომ მუხლთ-მოდრეკით ლოცვისა და ვედრები-სა, შევედრა სამწყსო თჳსი ღმერთსა და თითო-თითოდ გამოესალ-მა ძმათა; მხოლოდ ორნი მათგანი თან წარიყვანა და წარვიდა სა-მეუფო ქალაქად კონსტანტინეპოლედ. აქ განუკვირდებოდა მას არა

სიმდიდრე დიდ-მშვენიერის საბერძნეთის სახელმწიფოს სატახტო ქალაქისა, არამედ შეკრებილნი მას შინა სხუა და სხუა მხარიდგან სიწმიდენი. რაოდენსამე დღეს ილარიონმან მოვლო მრავალნი ეკკლესიანი და თაყუანისცა სასწაულ-მოქმედთა ხატთა და წმიდათა ნაწილთა მოციქულთა, მღვდელთ-მთავართა და მოღუაწეთა უდაბნოსათა. აქედგან მივიდა იგი მთასა ულუმბისასა, გინა ოლიმპისასა, რამეთუ ადრიდგანვე სმენოდა, რომელ მახლობლად მისა სდგას საკვირველი ლავრა დიდისა იოანნიკესი და მთისა ამის ძირსა მრავალ არიან დასაყუდებელნი ადგილნი. გარნა ილარიონ პირდაპირ არ მივიდა ამ ლავრაში; მახლობლად ამ მონასტრისა მან ჰპოვა მცირე ეგუტერი (*). აქ, ყველიერის შაბათს დღეს, დაიბინავა თავის ორის მოწაფითი და ენება აქავე გატარება მრთელის ორმეოცის მარხვისა. ამავ დღეს, საღამოს ჟამს დიდის ლავრიდგან მოვიდა ეგუტერში ბერი ვინმე კანდელთა აღმთებელი, მოსამზადებლად კანდელთა კვირა დღისათჳს; იხილა რა უცხონი კაცნი, რომელთა არა აქუნდათ არა ვითარიმე საზრდელი, იგი მსწრაფლ წარვიდა ლავრად და მოართვა მათ რაოდენიმე პაქსიმანდი (სუხარი) და ცერცვი წყალში დამბალი; როდესაც ეს ბერი შაბათს დღეს, პირველ დიდმარხვის შვიდეულისას, კუალად მოვიდა ეგუტერში, მან დიდად გაუკვირდა, რომ პაქსიმანდი ხელუხლებელი იყო, ამისთჳს რომელ უცხოთა კაცთა მრთელს შვიდს დღეს ცერცვის მეტი არა მიეღოთ რა. გულ-კეთილმან ბერმან ჰკითხა მათ: ,,გნებავსთა‘‘ კუალად რაჲმე?,, მათ მოსთხოვეს მას მხოლოდ სეფისკვერი და ზედაშე. ნეტარმან ილარიონ აღასრულა საღმრთო ლიტურღია და აზიარა მოწაფენი თჳსნი უხრწნელთა საიდუმლოთა.

განცვიფრებული სათნოებითა ამა უცხოთა ღმრთის-მსახურთა

---

(*) სამლოცველო სახლი მცირე სამწირველოთი.

კაცთა, ზერი მოვიდა ღავრად და ყოველივე უამბო მამასახლისსა (იღუმენსა, გინა წინამძღუ̂არსა); ხოლო მას ესმა რა ესე, აღივსო გულის-წყრომითა და რისხვითა, მეხთჳს, თუ ვითარ გაუბედავთ წირვა ეგუტერსა შინა კაცთა უცხოთა და უმეცართა ელლინთა ენი-სა, და უბრძანა იკონომოსსა, რომ დაუყოვნებლივ გასძოს იგინი მუნიდგან. იკონომოსმან თან წამოიყვანა რამდენნიმე ბერნი და ის-წრაფოდა მალიად აღსრულებასა წინამძღუ̂რის ბრძანებისასა. ილარიონ-მან, რომელმან მცირედ უწყოდა ბერძული ენა, დაწყნარებით უთხ-რა იკონომოსსა: „ნება დაგვრთე ჩუ̂ენ, მამაო, ეს ერთი ღამეც აქ გავატაროთ, დილით კი ადრე წარვალთ აქედგან და შევუდგებით გზას, რომელსაც გვიჩვენებს ჩვენ უფალი„. შეებრალნენ იკონომოს-სა ეს უბინავო უცხონი კაცნი და ნება დართო მათ მუნ ღამის გა-ტარებისა, იმ პირობით, რომ განთიად უთუოდ დაუტეონ სავანე იგი; გარნა იმავ ღამეს საშინელი სიზმარი ნახა წინამძღუ̂არმან: მას წარმოუდგნენ ორნი საშიშარნი კაცნი, რომელთაც დაუწყეს მას თრევა და შეათრიეს ერთს მშვენიერს ტაძარში, სადაცა იჯდა ტახ-ტსა ზედან დიდებისასა ზეცათა დედოფალი. მრისხანებით უბრძა-ნა მან შეუბრალებელსა წინამძღუ̂არსა: „ვითარ იკადრე შენ განძო-ბა მონისა ჩემისა, დიდის მოღუ̂აწის ილარიონისა და მოწაფეთა მისთა? ანუ დაგივიწყებიეს შენ მცნება ძისა და ღუ̂თისა ჩემისა, რომელი ნატრის უცხოთ მოყუ̂არეს და შერისხავს გულ-ფიცხელ-თა და ულმობელთა? რად უჩვენებ თავსა შენსა ამაყად უცხოთა შვილთა? შენ გგონია, რომელ ერთი ოდენ ბერძული ენა (ელლი-ნური) საამო არს ღუ̂თისა თჳს? ანუ არა უწყია, რომელ საყუ̂არელ ღუ̂თისა არს მხოლოდ მოყუ̂არე და მადიდებელი მისი, ამისთჳს რომელ ღმერთი პირუთნებელ არს? მოითხოვე შენდობა უცხოსა მის კაცისაგან, რათა ილოცოს მან შენთჳს და გაკურთხოს; ვინც არ შეიწყნარებს მას ვი-თარცა მოყუ̂ასსა, არცა მე შევიწყნარებ მას და იგი მტერი არს ჩემი„?

შემინებული წამოდგა მამასახლისი ლავრისა, მსწრაფლ მივიდა ქბუტერში, დაეცა ფერხთა ქუეშე ღირსის ილარიონისა და მწარის ცრემლით ქვედრებოდა, რათა მიუტეოს გულ-ფიცხელობა მისი, და-ადგრეს ქბუტერსა მას შინა და მით უკუნ აქციოს მისგან რისხვა ღჳთისა და ყოვლად წმიდისა ღჳთის-მშობლისა. ქრისტიანობრივის სიყუარულითა კაცმან ღჳთისამან მიუტევა წინამძღუარსა და აღუ-თქუა მას დაყოვნება ქბუტერსა მას შინა; ლავრიდგან მოართმევ-დენ მას პურსა და ყოველსა სასმარსა, რაჲცა იყო საჭირო საც-ხოვრებელად, გარნა ნეტარი ილარიონ ჰსთხოვდა წინამძღუარსა, რათა იგი არა ზრუნვიდეს გამოზრდისათჳს მისისა, არამედ ყო-ველს კვირა დღეს მხოლოდ გამოუგზავნიდეს მას სეფისკვერსა და ზედაშესა შესაწირავად უსისხლოჲსა მსხვერპლისა, ვინადგან ერთი ოდენ ესე კმა არს საზრდოდ სულისა და ხორცისა, და სურვილისა მებრ მისისა დის-წული წინამძღუარისა ყოველ კვირა დღეს მოარ-თმევდა მას ზედაშესა და პურსა სამღუთო მსახურებისათჳს. თუმ-ცა სხენებული დის-წული ესე წინამძღუარისა, ჯერეთ იგი ყრმა ჰყა-სავითა, გარნა შობიდგან მრთლად მარჯუენე მხარი და ხელი ჰქონ-და გამხმარი და უფუჭდებოდა თვალნი და ყურნიცა. ერთხელ, ჩუჱ-ულებისა მებრ, მოაქუნდა ყრმასა ამას ლავრიდგან შესაწირავნი პურ-ნი, ქუას ფესი წამოჰკრა, დაეცა მიწაზედ და მოწყლულთა ასოთა სასტიკად დაუწყეს ტკივილი; ნახა რა ილარიონმან მწარედ მოტი-რალი ყრმა, ჰკითხა მას მიზეზისა მისთჳს; ხოლო ოდეს იხილა წყლულებანი მისნი, მაშინ ნეტარმან მოიღო ზეთი კანდელისაგან და ჰსცხო მტკივნეულთა ასოთა ზედა, გამოსახა მათ ზედან სას-წაული ჯუარისა, განკურნა სნეული იგი სრულიად, მშვიდობით გა-ნუტევა ლავრაში, და ამცნო მას, რათა არავის უთხრას ქმნილი იგი მას ზედან საკვირველება.

არ დაშთა უცნობელად და დაფარულად სასწაული ესე. მოის-

ზონნი ლავრისა აღივსნენ პატივის-ცემითა ნეტარის ილარიონისა-დმი; ძმათა და მოღუაწეთა ულუმბოსათა, მცხოვრებთა ხენაკთა შინა ამა მთისასა, დაუცხრომელად იწყეს მოსვლა საქართველოდგან მოსრულის კაცისადმი და ითხოვდნენ მისგან სულიერთა რჩევათა. მისის სათნოებისანის და წმიდათ ცხოვრების ამბავმან მიაწია კონ-სტანტინეპოლადმდე და აქედგან მოვიდოდნენ მთასა ზედან ულუმ-ბოსასა მრავალნი წარჩინებულნი კაცნი ხილვად ქვეყნიერის ანგე-ლოსისა და შესწირვიდნენ ღმერთს მადლობასა, რომ ღირს იქმნენ იგინი მიღებად კურთხევისა მისის სათნოჲსა კაცისაგან. რომელნი-მე მოართმევდნენ ილარიონს ძვირფასთა ნიჭთა, ხოლო ნეტარი არა რას მიიღებდა მათგან, მეტყველი: ,,ზეცათა დედოფალი მფარ-ველი ჩუენის ულუმბოს უდაბნოჲსა, და შეამდგომელი ჩუენი წი-ნაშე ძისა თჳსისა და ღმრთისა, აღგვავსებს ჩუენ ყოვლითა კეთი-ლითა და ამისთჳს ჩუენ არაფრისათჳს გვაჭიროებთ; უმჯობეს არს განუყოთ შესაწირავნი თქუენნი გლახაკთა, რათა შეიკრიბოთ თქუენ საუნჯე ცათა შინა,,.?

ხედვიდნენ რა ესრეთსა სათნო ცხოვრებასა ნეტარის ილარი-ონისსა, მრავალნი გულს-მოდგინებით ცდილობდნენ, რათა მობაძავ მისდა იქმნენ; კაცნი ჩინებულნი დაუტევებდნენ სოფლიურსა ცხოვ-რებასა და ხელისაგან მისისა მიიღებდნენ მონაზონობასა და მახლო-ბლად მისა იკეთებდნენ ხენაკთა. რადგანაც მრავალნი შეაჭირვებდნენ ღირსსა მოსუცებულსა, რომელნიმე ითხოვდნენ მისგან სულიერსა რჩევასა, ხოლო სხუანი კურნებასა ხორცისასა, და მას არღა აქუნ-და ჟამი მყუდროებით და დაყუდებით ცხოვრებისა, ამისთჳს მო-წადინა მან დატევება ულუმბოსი, სადაც დაყო ხუთი წელიწადი, და წარსვლა მწირსა და უდაბნოსა ადგილსა. მოახლოებულ იყო დღე-სასწაული ჯუარის ამაღლებისა; ილარიონმან ჰრქუა ძმათა: ,,მნებავს წარვიდე კონსტანტინეპოლს და მუნ თაყუანის-ვცე პატიოსანსა

და ცხოველს-მყოფელსა ძელსა, რომელსაზედან უფალმან და მხსნელ-
მან ჩუენმან განართხო ხელნი თჳსნი, რათა მოიზიდოს წარ-
წყმედილნი და შვილად თჳსად ჰყოს იგინი; ხოლო თქუენ დაად-
გერით ამა ხენაკსა შინა, მფარველობასა ქუეშე უფლისა ჩუენისა
იესო ქრისტესსა და მომიხსენებდეთ მე წმიდათა ლოცვათა შინა თქ-
ვენთა". აკურთხა რა მოწაფენი თჳსნი, წარვიდა იგი კონსტანტი-
ნეპოლედ და დღესა მსოფლიო ჯუარის ამაღლებისასა თაყუანისცა
ცხოველს-მყოფელსა ძელსა; აქედგან დააპირა მისულა რომის ქა-
ლაქში, რათა თაყუანისცეს საფლავთა თავთა მოციქულთასა. მიმა-
ვალმან რომად, მან ინება დაყოვნებაჲ მცირედის ჟამისა თესალო-
ნიკეში, გარნა ამ ვრცელსა და სალსით სავსე ქალაქში ვერ ჰპოვა
ადგილი თავის შესაფარებელი. ერთის ვენახის კარებ წინ ილარი-
ონმან ისილა მჯდომარე კაცი, მცველი ვენახისა მის, მივიდა და
სთხოვა მას ერთი მტევანი ყურძნისა. მცველმან სიხარულით ჰსთ-
ხოვა ნეტარსა, რომ თჳთ შევიდეს ვენახში და დაკრიბოს ყურძენი,
რაოდენიცა სურს, ამისთჳს რომელ ვენახის მცველს ორივე ფეხი
ჰქონდა სნეულებისაგან გაშეშებული, ცამეტი წელიწადი იყო დაკუ-
ტებული, ძნელად ეძლო გამოცვლა ადგილისა და საზრდოს მოი-
პოებდა იმით, რომ ვენახზე ეჭირა თვალი. შეეწყალა ნეტარს ილა-
რიონს დავრდომილება მისი, და მგზავსად მოციქულთა უთხრა მას:
„ ვეცხლი და ოქრო არა მაქუს მე, გარნა რაცა მაქუს, მას მოგ-
ცემ; სახელითა იესო ქრისტესითა აღსდეგ და შევედ ვენახად, და
მსწრაფლ მომართვი მე ყურძენი". ესერა ჰსოქუა სასწაული ჯუა-
რისა გამოსახსა კაცსა მას ზედა განრღვეულსა, მასვე წამსა წამოხ-
ტა იგი, შიშით და სიხარულით შეირბინა ვენახში და მოჰკრიფა
საუკეთესო ყურძენი, რათა მოართოს განმკურნებელსა თჳსსა, გარ
ნა ნეტარი ვენახის კარებთან აღარ დაჰხუდა; განკურნებულს ხელ-
ში უჭირავს ყურძნის მტევანნი, დარბის ქუჩა ქუჩა, ეძიებს უსას-

უიღლოსა მკურნალსა, და ყოველსა აუწყებს თჳსსა განკურნებასა. მოქალაქენი, რომელთაც უწყოდენ დიდის ხნის უძლურება მისი, გაკვირვებულნი და განცვიფრებულნი დააყენებენ მას და ჰკითხვენ: ,,ვითარ განიკურნე შენ,?. გარნა ამაოდ ქიებდა იგი ნეტარსა ილარიონს, რომელი ივლტოდა დიდებისაგან კაცთასა; მალიად დამტევებელი თესალონიკისა, იგი წარვიდა რომად.

მივიდა რა ღირსი ილარიონ რომის ქალაქში, კეთილ-მოწიწებით ემთხვია იგი ლარნაკსა თავთა მოციქულთა პეტრესსა და პავლესსა, მოილოცნა ყოველნი სიწმიდენი რომისანი, შემდგომ ორისწლის მუნ დაყოვისა, დაბრუნდა ისევ კონსტანტინოპოლში, და მუნ მიმავალმა ინება კჳალად მისვლა თესალონიკეში. არა მქონი ბინისა, იგი ჩამოჯდა კარებ წინ ერთის დიდებულის და მდიდარის კაცისა, რომელსა ჰყვანდა შვილი, მოწყლული ეშმაკისაგან და აქჳნდა მას მარჯვენე ხელი და ფერხი სრულიად გამხმარი. მოახლემან, რომელი უვლიდა უძლურსა ამას ყრმასა, გამოიყჳანა იგი შინადგან და დასხდა მზეზედ, მახლობლად იმ ადგილისა, სადაც იჯდა წმიდა ილარიონ; მას შეებრალა სნეული ჭაბუკი და უბრძანა მოახლესა მისსა, რათა ასვას დამაშვრალსა მას მოხუცებულსა წყალი და ოდეს შევიდა სახლში მხევალი იგი, მაშინ ილოცა წმიდამან განრღვეულისა ყრმისა მისთჳს, გამოსახა მას ზედან სასწაული ჯჳარისა და ჰრქჳა მას: ,,აღსდეგ ყრმაო მსწრაფლ და ეჩვენე დედასა შენსა‘‘. საჩქაროდ წამოხტა ჭაბუკი და შეირბინა სახლში, ხოლო წმიდა ილარიონმან მსწრაფლ დაუტევა ადგილი, რომელზედაც იყო მჯდომარე და განეშორა სახლსა მას. წარმოიდგინეთ გაოცება მოახლისა, რომელსაც მოაქჳნდა წყალი და უეცრად შეეჯახა გაზრდილსა თჳსსა, რომელი საჩქაროთ ამორბოდა კიბეზედ, წარმოიდგინეთ განცვიფრება მისი, როდესაც ვერღა ჰპოვა მჯდომარე კარებთან საკვირველი იგი მოხუცებული. ყრმამან თჳთ უამბო დედასა

თჳსსა განსაკვირველი განკურნება თჳსი და ამასთანავე მიუთხრა მას, თუ ვითარი სახე აქუნდა, ანუ რა ეცო ტანსა განმკურნებელსა მისსა.

ჰსცნა რა მეუღლისაგან თჳსისა მამამან ყრმისამან, სასარულევანი განკურნება მისა თჳსისა, დაუყოვნებლივ იწყო ძებნა უცხოჲსა მის კაცისა და უბრძანა მონათა თჳსთა, რომ ჩაკეტონ ყოველნი კარნი ქალაქის გალავნისა და არ გაუშვონ ქალაქ გარეთ კაცი ღუთისა, რომლისა სახე და ტან-მოსილებაც აცნობა მათ. აღმოსავლეთის გალავნის კარებთან, რომელსაც, მოსახსენებლად პავლე მოციქულისა, ეწოდებოდა მოციქულთა, ჰპოვეს მონათა ნეტარი ილარიონ და შეუკრეს მას გზა, მეტყველთა: ,,გიწესს შენ, პატიოსანო მამაო, მთავარი ჩვენი და გევედრების, რათა არა უნაწილო ჰყო სახლი მისი ლოცვისა და კურთხევისა შენისაგან.,, დაემორჩილა ნეტარი ღუთისა განგებულებასა, მოვიდა სახლად მთავრისა, რომელიც მეუღლით და განკურნებულის შვილით, სიხარულით კარებ წინ მოეგება წმიდასა და ყოველნი ერთად დაეცნენ ფერხთა ქუეშე მისთა, მთხოველნი კურთხევისა და ლოცვისა.

მთავარმან ჰსთხოვა ილარიონს, რომ ერთად მოვლონ მთლად ქალაქი და რომელიც ადგილი მოეწონოს, მუნ სამარადისოდ დაემკვიდროს იგი, რათა თესალონიკის მოქალაქეთა ყოველთჳს ჰქუანდეთ თვალ-წინა საკვირველი მკურნალი სულთა და ხორცთა. დაუცხრომელნი თხოვანი მრავალთა ჩინებულთა ქალაქისათა და ერისა შეისმინა წმიდამან და აღუსრულა მათ სურვილი. ნეტარმან აღირჩია სადგურად თვისად მცირე ეგუტერი, მდებარე აღმოსავლეთით ქალაქისა, უშენოსა ადგილსა ზედა, სადაც ახლოს-სანში მიცვალილიყო წმიდა ვინმე დაუფლებული, და სთხოვა მთავარსა, რათა არ მოვიდოდეს იგი სანახავად მისა, გარნა ჟამითი ჟამად გამოუგზავნიდეს მას მცირედსა გამხმარსა პურსა და წყალში დალბობილსა

ცერცვსა. ესრეთ განისვენა ილარიონმან თესალონიკეს შინა და სრულიად მოქალაქეთა უკვირდათ მოღჳაწებითი ცხოვრება მისი, და ჰხადოდენ მას ვითარცა მამასა და მფარველსა თვისსა. ერნი, სხჳა და სხვის წოდებისანი, დაუტევებდენ სოფელსა და მოვიდოდენ მწირსა სადგურსა ილარიონისასა, რათა სამღჳდელოთა ხელთა მისთაგან მიეღოთ სახე ანგელოზობრივისა მონაზონობისა.

დიდის-მოწამის დიმიტრის თესალონიკის ეკკლესიაში მსახურებდა პატიოსანი დიაკონი, წმიდისა და უბიწოს ცხოვრებისა; ერთხელ წარვიდა იგი სანახავად თავის აგარაკისა (ხნულებისა), ქალაქიდგან მოშორებით მდებარისა, მას ანაზდეულად დაესხნენ სკვითნი და წარიყჳანეს იგი ტყვედ ქვეყანასა თვისსა. ხელ-გაკრული დატვირთვეს იგი მძიმითა ტვირთითა და მით გზაზედ სასტიკად ჰსტანჯვიდენ მას; შეპყრობიდგან მესამე ღამეს მოაგონდა მას ნეტარი ილარიონ და ესრეთ იწყო ლოცვად:,, უფალო იესო ქრისტე, ლოცვითა მონისა შენისა ილარიონისათა განმარინე მოწევნულისა ამის ჩემზედან განსაცთელისაგან.,, წარმოსთქვა რა ესე, მას მცირედ მიერულა და იხილა თჳს წინაშე მდგომარე წმიდა იგი, რომელსა უწოდდა შემწედ. ილარიონმან ჰრქჳა მას:,, აღსდეგ მსწრაფელ და მოვედ ჩემდა, რამეთუ არა რაჲ არის ყოვლადვე მავნებელ შენდა, გინა წინააღმდგომი გზასაზედან.,, გაეღვიძა დიაკონსა და განცვიფრებით ნახა, რომ ხელნიცა და ფერხნიც განხსნილი აქჳნდა საკრველთაგან და სკვითთა კი მძიმედ ჰსძინავთ გარემოს მისსა; წყნარად წამოდგა იგი, შიშით და სიხარულით გამოექცა მტერთა, მოვიდა თესალონიკეს და მოუთხრა ყოველთა საკვირველი გამოხსნა თვისი ხელთაგან წარმართთა, ლოცვითა წმიდის ილარიონისათა.

შემდგომ სამის წლისა თესალონიკეს დამკვიდრებისა, ნეტა-

რომან ილარიონ იერმნო ყამი თჳსის გარდაცვალებისა უწინარეს ორმეოცთა დღეთა; მოუწოდა მთავარსა და ჭრ:ქჳა:,, მოგეცინ შენ, შვილო, უფალმან სასყიდელი უცხოთ-მოყუარებისა, რამეთუ არა უღირს იხინე შეწყნარება ჩემ ცოდვილისა ამის და უნდოჲსა, და ყოველთავე პატივითა ნუგეში მეც მე, მიგიღებიესმცა შენ ნაცვალად წარმავალისა წარუვალი, ნაცვალად მცირედისა დიდი, ნაცვალად განხრწნადთა ამათ კეთილთა და განქარვებადთა საუკუნონი კეთილნი უხრწნელნი და განუქარვებელნი. აწ შვილო, ვინადგან ყამი ჩემისა აღსასრულისა მოახლებულ არს, დაგიტევებ შენ ანდერძად ლოცვასა და კურთხევასა და გამცნებ, რათა ყოველთა ზედა უცხოთა ჰყო ქსე, ხოლო უმეტეს მონაზონთა, და იყავნ კარი შენი განღებულ ყოველთა მვედრებელთათჳს და უღონოთა, რათა ჰპოვო შენცა განღებულად კარი იგი სამოთხისა შემწყნარებელად შენდა., რამეთუ გესმის შენ წერილისა, რომელი იტყვის: სასჯელი, სიმართლით საჯეთ, ქცით წყალობა გლახაკთა, მდაბალთა და დავრდომილი განამართლეთ: თანა-გამს შენცა ყოველი ესე დამარხჳად ეგრეთვე; კჳალადცა გეტყვი შენ, ჵი მთავარო, მოიძულე ქრთამი, რომელი დააბნელებს თვალთა სულისათა, მოიძულე უკეთური გულისთქმა, რომლისა თჳს აღზნებულ არს ცეცხლი იგი საუკუნო; ნუ მოატაცებ ნაწილსა სხვისასა, კმა გეყავნ სახმარი თჳსი, რამეთუ ნამეტნავი იგი უკეთურისაგან არს; რომელნი არიან ჭირსა შინა და შეწუხებულ საპყრობილეთა ნუ გცონის (ნუ გეზარება) მოხილვად მათდა და მიეც მათ საზრდელი; უფროსღა უხვებით მისცემდი გლახაკთა სიმართლით შეკრებულსა სახმარსა, რათა მოვიდეს კურთხევა უფლისა სახლსა შენსა ზედა აქა, და მერმესა საშინელსა მას მოსვლასა ქრისტესსა ღირს-იქმნე მარჯვენით მდგომარეთა მათთანა და სმა იგი გესმეს კურთხევისა და მშვიდობამან ღჳთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, დაგიფარო-

შენ, შვილო,,. ესე ჰსთქუა და განუტევა მთავარი იგი მგლოვარე და დამძიმებული სულითა.

შემდგომ ამისა ილარიონმან მოუწოდა იწროსა სენაკსა შინა თჳსსა ძმათა და ასწავებდა მათ, თუ ვითარ უნდა იღუწიდეს თჳთო-ეული მათგანი ცხოვნებისათჳს სულისა და განატარებდეს ცხოვ-რებათა ურთიერთის სიყვარულსა შინა, ამისთჳს რომელ სიყუვარუ-ლი არს პირველი გრგოლი სანთნოების ოქროს ჯაჭვისა. შემდეგ სთხოვა მღუდელსა, რათა სრულ-ჰყოს მან საღმრთო ლიტურღია და მია-ღებინოს მას წმიდა საიდუმლო; ეზიარა რა ნეტარი უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა, გამოეთხოვა ძმათა, განუტევა სენაკად და შემდგომ სამისა დღისა მშვიდობით უფლისა მიმართ მიიძინა 881 წელსა ცხრამეტს ნოებრის თჳსას, (*) ჟამსა მეფობისასა ბერძენთა ზედან ვასილი მაკედონელისა. როგორც რომ განისმა სამწუხარო-ხმა ნეტარის ილარიონის გარდაცვალებისა, ყოველის მხრიდგან თესალონიკის ქალაქისა მოვიდნენ მღუდელნი და მონოზონნი, მხე-დარნი და მოქალაქენი; მობძანდა თჳთ მწყემსთ-მთავარი თესალო-ნიკისა თჳსის კრებულით, გარდასასხდელად უკანასკნელის ვალისა. ნეტარი ილარიონ ჩაასვენეს ლარნაკსა შინა ქვისაგან ქმნილისა და დაასვენეს მასვე ეგუტერსა შინა, სადაც ჰსცხოვრებდა იგი სადიდებე-ლად მაცხოვრის სახელისა. მრავალნი სასწაულნი იქმნებოდენ შემ-დგომ მისის გარდაცვალებისა, ვითარცა მოწმობენ თესალონიკის მცხოვრებნი, რომელნი პატივს-ცემდენ წმიდასა, ვითარცა დიდსა ღუთის სათონომყოფელს კაცსა. მეორმოცე დღეს, შემდგომ ნეტა-რის გადაცვალებისა, წყალ-მანკიერ იქმნა იმავე მთავრისა შვილი, რომელი პირველ განჰკურნა წმიდამან, ხოლო აწ ბოროტად ვნებულ-

(*) ამასვე თვესსა და რიცხვსა ეკკლესია ჰყოფს ხსენებასა ღირსის ილარიონისასა — წლით-წლად.

ხა ვერა ჰსცეს მცირედიცა რამე შვება დასნეულებულთა მკურ-
ნალთა; თჳთ მამამან მოაყვანინა უძლური შვილი თჳსი სამარხოსა
ნეტარისასა, მიაწვინა იგი ლარნაკზედ, რომელშიაც ესვენა გუამი
წმიდისა, და ცრემლით ევედრებოდა მას კურნებასა მისა თჳსისასა.
ღამე იხილა ყრმამან მოხრული მისდა მოხუცებული, რომელმან
უთხრა:,, პროკოპე, ვსწუხვარ წარწყმედისათჳს სულისა შენისა;
თუ რომ ისე ბოროტად განატარებ ცხოვრებასა შენსა, როგორც
აქამდის გაგიტარებია, შენ ვერა-ოდეს ვერ ეღირსები განკურნებასა,,.
ყრმამან, აღუთქუა რა ფიცით, რომ დღეის შემდეგ იგი კეთილად
განატარებს ცხოვრებასა თჳსსა, მაშინ მოხუცებულმან დასდვა ხე-
ლი მუცელსა ზედან მისსა, სამ-ჯერ გამოსახა სასწაული ცხოველს-
მყოფელის ჯუარისა და წარსთქუა სიტყუანი უფლისა, თქმულნი გან-
რღვეულისადმი მასლობლად ცხოვართა საბანელისა (იოან. ე, იდ):
„აჰა ესერა ცოცხალ იქმენ, და ნურღარა ჰსცოდავ, რათა არა უძვი-
რესი შეგემთხვიოს,,. მეყსეულად განიკურნა წყალ-მანკიერი, და
იგი, რომელიც გუშინ მოიტანეს ეზუტერსა შინა როგორც რომ
მკუდარი, მეორეს დღეს მოვიდა თავის მშობელთა სახლში სრულე-
ბით განკურნებული; მხილველნი ამისნი ყოველნი ერთბამად აქებ-
დნენ და ადიდებდნენ ღმერთსა და რჩეულსა მისსა ილარიონს.
ხმამან ნეტარის ილარიონის სასწაულთა მიაწია კონსტანტი-
ნეპოლედ დ ყოველი თჳთოეულად აუწყა თესალონიკის არხიეპისკო-
პოზმან იმპერატორს საბერძნეთისას ვასილი მაკედონელსა. კეთილ-
მსახური ხელმწიფე ჰმადლობდა ღმერთსა, და მსურველმან, რათა
უმეტესი ჰსცნას ნეტარისა მისთჳს დაყუდებულისა, მიიპატიჟა თჳს-
სა პალატთა შინა ყოველნი წინამძღუარნი მონასტრისანი, რომე-
ლნი შენებულ-იყუნენ გარემოთა ადგილთა სამეუფო ქალაქისა, და
გამოიკითხვიდა მათგან ყოველსა მას, ვინცა რა უწყოდა ნეტარის
ილარიონისათჳს. მაშინ წინამძღუარმან ულუმბოს ლავრისამან ვრცლად

მიუთხრა მეფესა საკვირველისა მისის დისწულის განკურნება-სათვის და ყოველთა მოღუაწებათა თჳთ საქართველოდგან მოსრუ-ლის უცხო კაცისა, რომელთა შინა დაჰყო მან ხუთი წელი მბუ-ტერსა შინა მახლობლად ულუმბოსა. იმპერატორს ენება შეტყობა, ჯერეთცა არის ვინმე ულუმბოსა მთასაზედან მოწაფეთაგანი ილა-რიონისა? და ოდეს მოახსენეს მას, რომელ აწცა ჰსცხოვრობენ მუნ სამნი მოხუცებულნი, აღივსო იგი სიხარულითა. მაშინვე უბძანა მოყვანება მათი სამეუფოსა სასახლესა შინა და მიიღო იგინი, რო-გორც ანგელოზნი ღუთისანი. იმპერატორმან ჰსთხოვა მათ, რა-თა აღაშენონ საყოფელი თჳთ კონსტანტინოპოლში მახლობლად სამეუფოთა მისთა პალატთა, გარნა ბერთა არ ინებეს ცხოვრება შფოთიერსა ამას სოფელსა შინა და ევედრებოდნენ მას აღშენება-სა მათთჳს სავანისა ქალაქს გარეთ, უდაბნოსა ადგილსა ზედან. იმ-პერატორმან თან გაატანა მათ ერთი უმთავრესი წარჩინებულთა თჳსთაგანი, პროტოსპატორი, და ამათ ერთად იწყეს ძებნა ადგი-ლისა მონასტრისათჳს, და ერთს ღელეში, რომელსაც ჰრომანად სახელ-ეწოდებოდა, ჰპოვეს მცირე ბორცვი, მუნვე წყარო კეთილი და აქ ინებეს აღშენება მონასტრისა. თჳთ იმპერატორი მობძანდა ამ ადგილს და თავის ხელით დადვა პირველი ქვა საფუძველისა და შვიდ თვეზე სრულ-ჰყვეს აღშენება ეკლესისა, სახელსა ზედან წმიდათა მოციქულთა.

ამ დროს კონსტანტინოპოლში ჰსცხოვრებდა თანამდებობისაგან გადამდგარი განმგებელი თესალონიკისა, ანთჳპატი, რომელსაც იმ-პერატორმან ვასილ კუალადცა უბოძა განმგებლობა, გაგზავნა თესა-ლონიკედ და უბძანა მას, რათა დიდითა სიწრაფითა მოასვენოს მუნიდგან გუამი წმიდისა ილარიონისა. გულნი მოქალაქეთანი აღივ-სნეს მწუხარებითა და შექმნეს დრტვინვა და ტირილი, ოდეს გა-მოუცხადა განმგებელმან ბრძანება ესე მეფისა, ამისთჳს რომელ

თესალონიკელთა არ ენებათ დათმობა ძჳრ-ფასისა მათთჳს საუნჯი-სა და თითქმის შფოთის მოსდენაც დააპირეს. ანთჳპატი ევედრე-ბოდა მათ დამშვიდებასა და შეაგონებდა, რათა მორჩილ ექმნენ მეფისა ბრძანებასა. ღამით გამოასვენეს მას წმიდანი ნაწილნი ილ-არიონისა, უხვად მომფენელნი სურნელებისა და მოასვენეს იგინი კონსტანტინეპოლეს. (*)

,,შეიწყნარნა მეფემან ნაწილნი იგი ნეტარისანი (**) მრავლითა პატივითა და გულს-მოდგინებითა სულისათა, და ღამესა მას დაასუენა სასუენებელსა შინა თჳსსა; ხოლო შუაღამესა ოდენ განეღვიძა მე-ფესა და იყნოსა სურნელება რაჲმე უცხო, რომლისათჳს დამტკბო-ცებით იტყოდა, ვითარმედ არა ოდეს ჰყნოსია საყნოსელსა მისსა ესე-ვითარი სურნელება, და დაკვირვებული ეძიებდა, თუ რაჲმე არს ესე, და ჰკითხვიდა წინაშე-მდგომელთა მათ: უკეთუ არს რა ესე-ვითარი პალატსა შინა? და ვითარცა ვერა რაჲ ჰპოვეს სხუა, გულისხმა-ჰყო მეფემან ვითარმედ პატიოსანთა მათგან ნაწილთა წმიდისათა გამომავალ არს საკვირველი იგი სურნელება; არა ოდენ მეფემან, არამედ ყოველთავე მყოფთა ქალაქისათა იყნოსეს უცხოსა

---

(*) ქართლის ჟამნიდგან ჰსჩანს, რომ ნაწილნი წმიდის ილა-რიონის მოუსვენებიათ კონსტანტინოპოლს 6390 წელსა დასაბა-მიდგან სოფლისა, ესე იგი: 882 წელსა ქრისტეს შობიდგან. იმ-პერატორი ვასილ გარდაიცვალა 886 წელსა.

(**) მოთხრობა ნაწილთ მოსვენებისა წმიდის ილარიონისა, შე-მოგჳაქვს აქა სიტყვა-სიტყვით მისის ცხოვრებიდგან, რომელი აღ-უწერია ბერძნულს ენაზედ, ბერძენთ იმპერატორის ვასილის ბძანე-ბით, მონოზონს ვისმე ვასილს. ხოლო უთარგმნია ბერძნულით ქართულს ენაზედ მონოზონს თეოფილეს მეთერთმეტე საუკუნოს განმავლობაში, დავით აღმაშენებლის მეფობის ჟამს.

მისგან სუნნელებისა, ადიდებდეს ღმერთსა და ჰნატრიდეს საყვარე-ლსა მას ღჳთისასა—ნეკტარსა ილარიონს,,.

,, ინება მეფემან პალატსა შინა სამეუფოსა დასხმად ნაწილთა წმიდისათა, არამედ გამოეცხადა ჩვენებით მართალი იგი, მადლობა მისცა მას და ჰრქვა: ,,შემწყნარებულ არს გულს-მოდგინება შენი და პატივი შენი ჩვენდა მომართ შეწირულ წინაშე უფლისა, ხოლო პალატსა შინა სამეფოსა, რომელ განიზრახე, ყოფა ჩემი არა სათნო არს, არამედ ახალ-შენსა მას შენ მიერ მონასტერსა ბრძანე წარყვანება ჩემი,,.

,,განთიად ოდენ ცისკარს, ცხრასა ნოემბრის თჳსსა, შესხდეს მეფე და პატრიარქი (*) ნავითა სამეფოთა მთავართა თანა და თავთა ქალაქისათა და აღიხჳნეს ნაწილი იგი კაცისა ღჳთისანი სუნნელებითა და საკმეველებითა, ფსალმუნებითა და გალობითა და შევიდეს ტაძარსა მთავრისა მის უხორცოთასა მიქაელისა, რომელ შენ-არს ადგილსა სოსთენისასა (**). გამოვიდეს მიერ უმეტესითა გალობითა, და ბრწყინვალებითა მოსილნი აღვიდეს ღელესა მას რომაინისსა და დიდის დღესასწაულობითა ჰყვეს დამისთევა მრავლითა ქებითა და გალობითა სუნნელთა თანა მრავალ-სასყიდლისათა. შემდგომ სრულ ჰყო მეფემან სატფურება ეკკლესიისა პატივის მოყჳრებით, და განწმიდა (აკურთხებინა) საკურთხეველი ხელითა პატრიარქისათა და მისცა მას ნაწილი რომელიმე ნაწილ-

---

(*) წმიდის ილარიონის ცხოვრებაში სახელი ამ პატრიარქისა არ არის მოხსენებული. დროების მიხედვით ეს უნდა ყოფილიყო, ანუ, წმიდა ეგნატი, ანუ სახელოვანი ფოტი.

(**) ამ სახელით დღესაც იწოდება ადგილი მახლობლად ბოს-სოფრის სორეტისა. (სორეტს ეძახიან ვიწრო წყლის გასავალს ერთის ზღვიდგან მეორეში).

თაგან წმიდათა მოციქულთასა, და დასხმად ქვეშე საკურთხევლისა უბრძანა. შემდგომად განწმედისა მის ეკკლესიისა მოიღო მეფემან პატიოსანი იგი ლარნაკი, სადა მდებარე იყჳნეს სამღჳდელონი ნაწილნი ნეკტარისა ილარიონისანი, ლამპრებითა მრავლითა და ფსალმუნებითა და დასხნა საწმნუნოებით, რამეთუ თჳთ ხელთა მათ სამეუფოთა არწმუნა ტვირთვა მისი და ორთა მათ ძეთა თჳსთა, ლეონს და ალექსანდრეს უბრძანა პყრობა ამიერ და იმიერ. ესრეთ მრავლითა პატივითა დაკრძალა იგი და განაწესა სამთა კანდელთა დაკიდება მას ზედა, რათა სამარადისოდ ენთებოდნენ; ეგრეცა ექჳსთა კანდელთა ბრძანა დაკიდება წინაშე საკურთხევლისა, და მათ ყოველთა თჳს ამცნო, რათა დაუკლებელად ენთებოდიან, რომლისათჳსცა ყოველსა თვესა განუწესა, რათა მიეცემოდის პალატით ათორმეტი დრაჰკანი (*) და ორი პური შესაწირავისა თჳთოეულსა დღესა, რათა წმიდა იგი მსხვერპლი სამარადისოდ აღესრულებოდეს შენდობისათჳს ცოდვათა მისთა. კჳალად ბრძანა, რათა მონაზონთა მათ მონასტრისათა მიეცემოდეს ორი ლიტრა ოქრო საჩოსედ ყოველწლივ თჳთ დღესა სატფურებისა (**) ეკკლესიისასა, და გამოსაზრდელად მათდა შესწირა მონასტერსა მედოქენი სამეუფოსა ქალაქისა შინა და ტყენი გარემონი,,.

შემდეგ მცირედის ჟამის განვლისა, დაყუდებულმან ვინმე ბერმა ეფთჳმემ, საქართველოს შვილთაგანმან, სავსემან სათნოებითა, ესრეთ მიუწერა მეფესა ვასილს:,, გიხაროდენ, ჵი მეფეო, ვინადგან ჰპოვე მადლი სამეფოსათჳს შენისა; რამეთუ ვიხილე მე ჩუჱნებასა შინა ღამისასა სასმილი დიდი და საშინელად აღტყინე-

(*) ერთი დრაჰკანი, ანუ დრაქმა ჩვენებურს შვიდ-აბაზ-უზალ-თუნს შეესწორების.

(**) სატფურება — ეკკლესიის დღეობა.

ნებული ბნელსა ადგილსა; მძაფრი ალი სასმილისა აღიწეოდა ცა-თამდინ და ხმა გამოვიდოდა მისგან ოხჳრისა და ტირილისა. ვსთქვი: ვაგლახ მე, ვაგლახ მე, არა ჩემ უბადრუკისათჳს არსა ესე განმზადებული? გარნა მოვიდა ჩემდა ჭაბუკი ვინმე, მოსილი სამო-სლითა ბრწყინვალითა სილვითა საშინელი და მრქვა: სასმილი ეგე აღაგზნა ვასილი მეფემან ცოდვითა თჳსითა! ვიწყე მე მწარედ ტი-რილი, გარნა ჭაბუკმან მრქჳა მე: აწ ჯეროვა მეფემან სულისათჳს თჳსისა შემწე და შჳამდგომელი, რომელი დაშრეტს ალსა ამას; ეს არის ილარიონ ქართველი, რომლისა ნაწილნი მეფემან მოასვენნა თესალონიკიდგან სამეუფო ქალაქში და დაასვენა საყოფელსა ში-ნა წმიდათა მოციქულთასა; ნუ მწუხარე იქმნები, შენ იხილავ, თუ ვითარ დაშრეტილ იქმნეს სასმილი ესე,,. როგორც რომ წარმო-სთქჳა სიტყჳანი ესე, მაშინვე გამოჩნდა მოხუცებული სამღჳდე-ლოჲთა სამოსლითა, რომელსა ეპყრა ხელთა შინა წყლით სავსე ჭურჭელი; მან დაასხა წყალი ალსა და მასვე წამსა საშიშარის ცეც-ხლისაგან დაშთნენ ხოლოდ მცირედნი ნაკვერცხალნი:,, ხედავა, მრქჳა მე ჭაბუკმან, ვითარ მსწრაფლ განქრა ალი ესე ღჳთის კაცის ლოცვითა? ამიერიდგან დაშთებიან ერთი ოდენ მხოლოდ ნაკვერ-ცხალნი და უმეტეს არღა აღეგზნებიან ესევითარი ალი სულსა ვასილისსა,, ამისათჳს გიხაროდენ, ქრისტეს მოყჳარეო მეფეო, და განამრავლე სათნოებანი, რათა დაშრტნენ დანაშთენნიცა მცირედნი ნაკვერცხალნი.

აღივსო სიხარულითა მეფე, მიიღო რა წიგნი ესე და უმე-ტეს ხშირ-ხშირად იწყო სიარული მონასტერსა შინა ღირსის ილა-რიონისა, და მოწიწებით, სიყჳარულით და სასოებით ამბორის მყოფელი ნაწილთა მისთა, ევედრებოდა მას შჳამდგომელობასა წი-ნაშე ღჳთისა თავისა და ორთა ძეთა მისთა, ლეონისა და ალექსან-დრეს თჳს. იმპერატორმან აღაშენა მცირე ხენაკი მახლობლად

წმიდის ილარიონის მონასტრისა და ხშირად მოვიდოდა მუნ გა-სატარებლად რაოდენისამე დროჲსა ლოცვათა და ვედრებასა შინა. ესრეთ მხურვალე დ̃ ცხოველ იყო სარწმუნოება და სიყვარული მისი წმიდის ღირსისა და საკვირველ-მოქმედის ილარიონისადმი.

ი. ხ უ ლ ჩ ა ნ ო ვ ი.

---

## ს ი ტ ყ უ ა

მისი მაღალ-ყოვლად-უსამღუდელოესისა საქართუე-ლოს ექსარხოსისა, არხიეპისკოპოსისა ევსევისა, თქმული რუსულად ჟამსა დასაფლავებისასა მისის უგანათლებულესობის კნიაზის ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბაგრატის მის გ რ უ ზ ი ნ ს კ ი ს ა, მცხეთის სო-ბოროსა შინა, 1865 წელსა ოკტომბრის 12-სა დღესა.

---

„ვგოდებ და ვიგლოვ, რაჟამს გულისხმა-ვყო სიკუდილი."
(სტ. ჟამ. დასაფ.)

და შესაძლო არს, ძმანო, არა ვცრემლეოდეთ და არა ვგო-დებდეთ, ოდეს წარმოვიდგენო სიკუდილსა? შესაძლო არსა არა ვგოდებდეთ და არა ვჭმუნვიდეთ მძიმედ და გულ-მტკივნეულად, არა თუ ჟამსა მისედვისასა სიკუდილსა ზედა და მისი მხვერპლი-სასა, არამედ მარტოდ მხოლოდ სმენითაცა, ერთსა მხოლოდ მო-გონებასაცა ზედა მისსა..?.. ოჰ ვის უწყ ჩუენგანსა მომაკუდავ-სა არა გამოუცდია და არა დაუმარხავს ესე-ვითარი სამტკივნეულო გრძნობაჲ? ვის უწყ ერთ-გზის ოდენ სიცოცხლესა შინა თჳსსა არა დაუღვრია ცრემლნი, ანუ ეხილვოს პირდა-პირ სიკუდილი

მსგავსისა მისდა და მასლობელისა არსებისა, ანუ გინა მხო-
ლოდ არა წარმოუდგენია გონებასა შინა ყამსა მდუმარებისა და
განშორებისასა? ამისთჳს ჭეშმარიტად წმიდა ეკკლესია ბაგჱსა სა-
ბრალოჲსა მომაკუდავისასა ჩასდებს ესე-ვითართა სამტირალოთა
სიტყუათა: ვგოდებ და ვიგლოვ, რაჟამს გულისა-ხმა ვჰყო სიკუ-
დილი.“

რაჲ არს ესე ვითარი ღირს-სამტირალო სიკუდილსა შინა, არა
თუ მხოლოდ სანახაობა მისი, არამედ ერთი მხოლო წარმოდგინება,
ერთი მხოლოდ მოგონება მისი უნდომრად გარდმოადენენ თუალ-
თაგან ცრემლთა, ხოლო გულისაგან ტანჯუათა და კუნესათა? რაჲ-
სათჳს ესრეთ სამწუხარო და გულ-სამტკივნეულო არს სმენა და
წარმოდგინება სიკუდილისა? ესე-ვითართა კითხუათა ზედა უწი-
ნარეს ყოვლისა პასუხსა უგებს თჳთ ეკკლესია მასვე საგალობელ-
სა შინა თჳსსა, ოდეს მოგვითხრობს, რომელ მიზეზად მწუხარები-
სა, ყამსა მისლვისასა სიკუდილსა ზედა, მსახურებს თჳთ ხილვა
სიკუდილისა, რომელიც საზაროდ აღიბეჭდების სახესა ზედა და
თჳთოეულსა არსებრიობასა შინა მოკუდავისასა:,, ვჰგოდებ და ვიგ-
ლოვ მე, რაჟამს გულისხმა-ვყო სიკუდილი და ვიხილო საფლა-
სა შინა მდებარე მშუენიერებას ჩუენ ხატად ღუთისა დაბადებუ-
ლი, შეურაცხად უპატიოდ, და უსახუროდ.“

ჭეშმარიტად, არა მწარე არსა წარმოდგინება, არა სამძიმო
არსა ხილუა, რომელ კაცი — არსება მშვენიერი, მსგავსი ღუთისა, გო-
ნიერი და სიტყჳერი არსება, უმჯობესი და უაღმატებულესი ყოველთა
ქუეყნიერთა ქმნილებათა ზედა — სიკუდილისა მიერ მსწრაფლ შეიქ-
მნების უძრავ და უსულო მძორად, რომელსა შინა არა დაშთე-
ნილ არს უკუე მცირედიცა ნიშანი არცა გრძნობისა, არცა გო-
ნიერებისა და არცა გამომეტყველებისა? არა-ღირსს სამტირალოსა
წარმოგვიდგენს ჩუენ სანახაობასა კაცი, რომელი უკუე უწინარეს

ამისა განშვენდებოდა ცხოველობითა და თავით თჳსით განამშვენიერებდა თჳთ ცხოველობასა, რომელი აღყვავლდებოდა სიმრთელითა და ძრიელებითა, დაატკბობდა მხედველობასა და გულთა ყოველთასა თჳსითა გონებითა და გულითა, სიტყვითა და ამბორებითა, მშვენიერებითა და კეთილობითა, და შემდეგ მსწრაფელ შეიქმნა საზარო სანახავ მძორად, მცირე გროვად მიწისა და მტჳრისა!! რაოდენნი არიან, ძმანო, ესე-ვითარნი მაგალითნი და გამოცდილებანი, რომელნიცა საკმაოდ უხილავსთ თვითოეულსა ჩუენგანსა! რაოდენ-გზის შეგვხვედრია გაგვეცილებინოს ჩუენ საფლავადმდე საყვარელნი ხორციელნი მოყუასნი და მონათესავენი, მშობელნი, ნაცნობნი და მეგობარნი!

რაჲ კუალად შემდეგ ამისა, ძმანო, ღირს-სამტირალო არს სიკუდილსა შინა.? ესე არს საზოგადო და უმთავრესი მიზეზი სიკუდილისა ყოველთა მათ შექმნილთა მიწისაგან. ესე არს ცოდუა, მქნილი წინაპართა ჩუენთაგან; ესე არს გარდასვლა მცნებისა ღუთისა, რომელიცა მიუშვეს მათ ქუეყნიერსა სამოთხესა შინა, შეჭმითა ნაყოფისგან აღკრძალულისა ხისა. რამეთუ მართლ-მსაჯულმან ღმერთმან ესე-ვითარისა სასჯელდობრ ჭამადისა-თჳს აღუთქუა კაცთა სიკუდილი:,, რომელსა უკუე დღესა სჭამო მისგან, სიკუდილითა მოკუდე,, (შექ. 2, 17); მიწა ხარ და მიწადვე მიიქცე,, (3, 19), რქუა უფალმან ღმერთმან პირველსა კაცსა. ჴაზროვანებასა ამას შინა ეკკლესია წარმოადგენს ადამს მტირალად და მგოდებელად ნაქრცევსა ზედა თჳსისა პირველისა ნეტარებისასა წინარე დაკარგულისა მისგან სამოთხისა.,, ჴსჯდა ადამ პირის-პირ სამოთხისა მის და თჳსსა სიშიშვლესა გოდებდა და სტიროდა: ჰაი სამოთხეო ჩემო მშვენიერო; ნუ უკუე საზრდელისა შენისაგან ვერღარა დავსტკბები: და მიწად შთავალ, რამეთუ მიწისაგანვე აღებულ-ვარ.‘‘

ხოლო გარდა ესე-ვითარისა საზოგადოჲსა მოთხრობისა შე

საძლო არს ითქჳას შთამამოვლებითისა საჭიროებისა და აუცილებე-ლისა მიზეზისა სიკჳდილისა, თუ რაოდენნი არიან მიზეზნი სი-კჳდილისა კერძოობითნი, განსაკუთრებითნი შემთხვეულებანი, სხჳა და სხჳა გჳარნი სახენი, რომელთაგან თჳთოეული უმეტეს ანუ უნაკ-ლულეს სამძიმო და სამტირალო არს, გასაოცარ და საელდო. და ამი-სთჳს რაოდენს მოგვცემენ იგინი განსაკუთრებითათა მიზეზთა კჳ-ნესისა და გოდებისადმი. შესაძლო-არს მოუმატებელად ითქჳას, რომელ ვითარცა ურიცხვ და მრავალ-გვარნი არიან კაცნი და მათნი გარემოებანი და ურთიერთისა შორის დამოკიდებულებანი; ეს-ოდენ ურიცხვო არიან მიზეზნი და სახენი მათის სიკჳდილი-სანი, და ესოდენ მრავალ განმაღვიძებელნი მიზეზნი და წყაროანი ტირილისა და გოდებისანი ყამსა ხილვისა მათის სიკჳდილისასა.

აჰა ზოგი ყრმა, ერთი მხოლო ქჳწუნიერი იმედი და ნუგე-ში მშობელთა, პირდაპირ აკვნისაგან მიიტანების საფლავად, და უნუგეშონი მშობელნი ტირილითა და ცრემლის-ღჳრითა აცილე-ბენ შვილსა თჳსსა სახლისაგან საფლავად. იქმნების კჳალადცა ეს-რეთ, რომელ ჯერეთ არა-შობილი ჰკლავდეს მშობელსა მისსა, რო-დესაც მკჳდარი ჰკლავს ცოცხალსა, ყრმა იქმნების სრულიად უბრა-ლო მიზეზად დედის სიკჳდილისა, რომელნიმე აღყვავებულსა ასა-კოვნებასა შინა მაგარი და მხნე, ძლიერი და მრთელი კაცი ანუ ჭაბუკი, რომელისაგან მოილოდნებოდენ ბრწყინვალენი იმედნი მშობელთა და მამულისათჳს, მეუღლისა და შვილებისა და სრუ-ლიად საზოგადოებისათჳს, მოულოდნელად მოიკჳეთებიან შეუ-ბრალებელისა ცელისაგან სიკჳდილისა, და — ცრემლნი დატოებული-სა მისგან განბანენ კუბოსა მისსა და გოდებანი დაასყრუებენ საფ-ლავსა მისსა. რომელნიმე სრულსა ასაკოვნებასა შინა საშჳალ სრუ-ლისა უხვებისა და ბედნიერებისა კვალად მოიმედე და მხურველი სიცოცხლისა და ტკბილითა სიცოცხლითა ნუგეშ-ჰსცემდეს ქმა-

რსა და თჳთ იმედოვნებდეს შვილებითა, მწრაფლ და მოულოდე-ბელად უტევებს ქვრივად ქმარსა და ობლად ჭაბუკთა ნაშობთა, რომელთაცა უკუე ჯერეთ ვერცა მოსწრებოდეს დატკბობა ალერსისა დედისა და ჯერეთ არც კი გაეგებოდესთ და არა აქმდეთ შეგნება დაფასებად თვისისა მწარისა დაკარგვისათჳს.....

განსაკუთრებით სამძიმო და მომკვლელ არს გულისა, თუ რა გვარ სანახაობას წარმოადგენენ ქურივნი და ობოლნი და უპირა-ტეხობით შემდგენი, ხშირად და ერთად მრავალ-რიცხოვანნი და უმეტეს მცირე წლოვანნი, არა არს სიტყუა და წოდება, რომელ ესე მდგომარეობა სისრულით დაუასხდეს და გამოითქუასცა, არცა არიან ცრემლნი, რომელსა ღირსეულად მოიტირებდნენ სამძიმოსა და დაუჯილდოებელსა დაკარგუასა ზედა. ჰკითხეთ ქვრივთა და ობოლთა და იგინი გიპასუხებენ თქვენ თუ რაოდენ მწარე არს ჭამა სხვის პურისა, ანუ რაოდენ სამძიმო არს სხვისი დაქირავებული მოჯარგელობაჲ. წარსხედეთ მათ ცრემლთა, ყური მიაპყარით მათ ოხვრათა და კუნესათა, — და არა შემძლებელ იქმნებით არა შემეცნიოთ, თუ ვითარ ჩხვად და შემწუხრდად არიან ცრემლნი ესე, თუ ვითარ სამტკივნეულოდ არიან ოხვრანი ესე, უკუე ჟამსა მასცა შინა, ოდეს საკმაოდცა იმქონიებენ ნივთიერებითათა საჭიროებათაცა. ხოლო მრავალთა ქურივთა და ობოლთა ხშირად არა აქუთ არა რაჲმე ღონის-ძიებანი არა თუ აღზრდისა და განათლებისათჳს ნაშობთა თჳსთა, არამედ მხოლოდ მარტივისა სანოვაგისა და შესამოსელისათჳს. ამისთჳს უკუე მაცხოვარმან ჩუენმან უფალმან იესო ქრისტემან ჟამსა მისსა ქუეყნიერისა ცხოვრებისასა გვასწავლა განსაკუთრებითი მაგალითი შებრალებისა და მოწყალებისა საბრალო ქვრივსა ზედა ნაინისასა. ამისათჳს უკუე მრჩელსა მცნებასა შინა წმიდანი წინასწარ-მეტყუელნი ილიაი და ელისე შეეწეოდნენ ქურივთა ღარიბთა და ებრალებოდათ

იგინი (3 თა. 17, 10, 23, და 4, თა. 4 1—8). ამისთჳს თჳთ-ცა უფალი ღმერთი მარადის აგონებს მართლ-მსაჯულობასა და მოწყალებასა ობლისა და ქვრივისადმი, ხან გამოაცხადებს და ხდევნის უმოწყალოთა და შეუბრალებელთა, ესე ვითართა გუართა უბედურთა ზედა, ხან ემუქრის სასჯელითა და დასჯითა, უბედურე-ბითა და მწუხარებითა მათ, რომელნიცა გაბედვენ ტანჯუად (და-ჩაგურად), აკლებად და შეწუხებად ქურივთა და ობოლთა.,, საჯეთ ობოლი და განამართლეთ ქურივი,—ბრძანებს უფალი ღმერთი (ის. 1, 17).,, ობოლთა და ქვრივთა ნუ შეაწუხებთ "(იერ. 22 3).,, საჯეთ ობოლი და გლახაკი, მდაბალი და გლახაკი განამართლეთ (18, 3).,, ობლისა შენ ეყავ მწე (ფსალ. 9, 35).,, ობოლთა და ქურივთა ნუ უყოფთ ძალსა და ობოლთა და ქურივთა უფალი მი-იღებს (იერ. 7, 6, ფსალ. 145, 9).,, მოვალ თქუენდა სასჯელად და ვიქმნები მსწრაფლ მოწამე.... მეძალეთა ქვრივთა და შეუბრალებელ-თა ობოლთა "(მთ. 3. 5).

მეორეს მხრით, შესაბრალებელ არს სანახაობა და მწარე არს წარმოდგინებაცა, ოდეს ვიეთნიმე ჴკვდებიან გაუფრთხილებლობისა და დაუდევრობისა გამო. გინა ფრიადითა განცხრომითა ანუ შეუკავ-ლობისა გამო თავისა თვისისა, უქმობისა გამო, გინა მომატყებუ-ლის შრომისაგან, ანუ მომატყებულის საცხოვრებელისა, ანუ მოკლე-ბისა მისგანვე, ერთისა ანუ მეორის გზის დამოკიდებულობისა სიბოროტითა ანუ მტერობისა გამო, გინა მომატყებულის უჯერო-სიყვარულისაგან და მომატყებულის მზრუნველობითაცა. რომელ-ნიმე ჴკვდებიან შემდგომად სანგრძლივის და მძიმე სნეულებისაგან, რომელნიმე უცებ და მსწრაფლად და ანაზდეულად გარდვალს ცხო-ვრებისაგანს იკუდილად—ჩვეულებრივის საწოლისაგან კუბოსა შინა და საფლავად. რომელნიმე გარდავლენ საუკუნო სავანისადმი ყოვლად განუმზადებელად და მიუღებლობითა წმიდისა საეკლესიო საიდუ-

მლოჲსათა, ამისთჳს რომელ ვერა მოასწრო, თუმცა იწადდა აღესრულებინა ესე-ვითარი წმიდა უკანასკნელი ქრისტიანიერი მოვალეობა; ხოლო შემდეგი თჳსითა საკუთარითა დანაშაულობითა და დაუდევრობითა, ანუ უზრდელობითა დ̃ გაკრეშულეობისა გამო თჳსის გულისათა, წამსდარობისა-გამო თვისის ზნეობისა დაასრულებს თჳსსა ქრისტიანიერსა ცხოვრებასა დაურწმუნობლობითა გონებასა შინა სიბილწითა გულისათა და ცოდვილითა ძაგებითა და უვედრებისა ენისათა. და ესრეთ ამ გვარი და მსგავსნი ამისნი მიზეზნი და სანასაობა სიკჳდილისა ღირს-არს სატირელად და სამწუხაროდ. ვითარ მრავალთა და მრავალსა ზედა შესაბამო არს აღმოვსთქჳათ: ,,ვგოდებ და ვიგლოვ, რაჟამს გულის-ხმა-ვჰყო სიკჳდილი!!!

ხოლო უკუე არს სიკჳდილსა შინა მხარე ღირს-სამტირალო, ანუ უმჯობესია ითქჳას უკუე, არა თჳთ სიკჳდილსა შინა, არამედ მას შინა, რომელ ჯერ-არს მიეცეს შემდგომად სიკჳდილსა — ესე არს სასჯელი მომაკჳდინებელი. ვინაჲდგან ნამდვილად და არს ტუჳვრად ჰსთქჳა იგი, რაჲცა ბრძანა წმიდამან მოციქულმან: ,,წინა-უძს კაცსა ერთ-გზის სიკჳდილი და მისსა შემდგომად სასჯელი.,, (ებრ. 9, 27). ჩუენ, ძმანო, ესრეთ მცირედ ვზრუნავთ სამსჯავროსა მას ზედა, ესრეთ მცირედ ვემზადებით მისთჳს, ესრეთ მცირედ ვიშიშვით მისგან; რამეთუ იგი არს და იქმნების — სამსჯავრო იგი, რომელიცა აღსრულდების თჳთოულსა ზედა წარსრულთა ამა სოფლისაგან, იგი აღსრულდების თჳთოეულსა ჩუენგანსა ზედა. ვინ დაჭეშმარიტებით უწყის და ვინ ნამდვილად დარწმუნებულ-არს, თუ ვითარი სახელდობ იქმნება მისთჳს ბოლო ესე-ვითარის სამსჯავროჲსა? არა უმეტეს ყოვლისა დასარწმუნებელ არს, რომელ სამსჯავრო ესე იქმნების მისთჳს დასაწყესებლად საუკუნო ტანჯვისა.? რამეთუ თვითოეული უმეტეს ანუ ნაკლებ ცოდვილ არს წინაშე ღმრთისა. ხოლო თვითოეული ცოდჳა, უკეთუ

არა განზანილ-არს ცრემლთაგან გულის-წმიდის შენანებითა დაუმო-
რჩილება უმეტესსა ანუ ნაკლულევანსა სასტიკსა სასჯელსა და და-
სჯასა. ამისათჳს არა თუ უმეტეს ყოვლისა არა საარსებრიო და
შესაფერ არს თჳთოეულისა ჩუჱნგანისა განვამეოროთ ეკკლესიისა
სამტირალო საგალობელი: ''ვგოდებ და ვიგლოვ, რაჟამს გულის-
ხმა-ვჰყო სიკჳდილი.?...,,

გარნა ნუ იფიქრებთ, ძმანო, ვითომც მხოლოდ სიკჳდილსა
შინა არს სამჭმუნვარო და ღირს-სამტირალო, საგოდებელი და სა-
უნუგეშო, დ ვითომც მოსამსახურესა — მქადაგებელსა სიტყჳსა ღჳ-
